

Capatect Fugendichtband Typ Dehnfuge 059

პოლიურეთანის ქაფისგან დამზადებული, ცალმხრივი თვითნებვადი, ელასტიური საიზოლაციო ლენტა.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

წინასწარ დაპრესილი საიზოლაციო ფუგალენტი, Capatect-ის ფასადის სისტემებში, მეზობელ კომპონენტებთან მიერთების ადგილებში (ნაკერებში), წვიმისადმი მედეგი იზოლაციის შესაქმნელად (მაგ. დეფორმაციული ნაკერები).

თვისებები

- დატვირთვის ჯგუფი: BG 1 - DIN 18542-ის მიხედვით
- დიფუზიისთვის ღია
- ელასტიური და ცალმხრივად თვითნებვადი
- წვიმა მედეგი განსაზღვრულ გამოყენების ზონებში
- ატმოსფერული მოვლენების და ულტრაიისფერი სხივების მიმართ მედეგი
- ცეცხლგამძლე სინთეტიკური ფისით, სრულად გაჟღენთილი

ფერი

ანტრაციტი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას. დაიცავით პირდაპირი მზის სხივებისგან და ნესტისგან. +1 °C-დან +20 °C-მდე ტემპერატურის პირობებში, შენახვის ვადა მინიმუმ 12 თვე.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: წვიმისადმი მედეგობა: 600 Pa - DIN 18542-ის მიხედვით ფუგას მაქსიმალური დასაშვები სიგანე ჰერმეტიკობით: $a < 1,0 \text{ m}^3[\text{hm}(\text{daPa})_i]$ - DIN 18542-ის მიხედვით.
- თბოგამტარობა: $\leq 0,048 \text{ W}/(\text{mK})$ - DIN 52612-ის მიხედვით
- დიფუზიის ექვივალენტური ჰაერის ფენის სისქე $s_{\text{H}_2\text{O}} < 0,5 \text{ m}$
- ტემპერატურის წინააღმდეგობა: -30-დან +90 °C-მდე ამინდის წინააღმდეგობა: BG1 DIN 18542-ის მიხედვით
- კონსისტენცია: პოლიურეთანის ელასტიური ქაფი
- სამშენებლო მასალების კლასი: B1 - DIN 4102-ის მიხედვით (მყარ მინერალურ კომპონენტებს შორის)

პროდუქტის კოდი

059/01-03

პროდუქტი	სახეობა	სიგანე (მმ)	სიღრმე (მმ)
059/01	Dehnfuge 30/13-24	13-24	30
059/02	Dehnfuge 37/17-32	17-32	37
059/03	Dehnfuge 47/28-40	28-40	47



გამოყენება

ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა იყოს მზიდუნარიანი, სწორი, მშრალი და ადჰეზიის ხელის შემშლელი ნაწილაკებისგან თავისუფალი.
ხარჯი	1,0 მ/მ დამოკიდებულია სამუშაო ადგილის გარემო პირობებზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სამუშაო ობიექტზე.
გამოყენების პირობები	დამუშავების და შრომის პროცესში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +8°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +20°C-ს.
გამოყენების მეთოდები	გამოყენება შესაძლებელია, როგორც საიზოლაციო ფილების დამაგრების დროს, ასევე დამაგრებამდე და დამაგრების შემდეგ. ფუგალენტის სიგრძეზე გაჭრისას დაამატეთ მინიმუმ 2 სმ სიგრძე - თითოეულ მეტრზე. პერტიკალური სამუშაოებისას, დაიწყეთ ფუგალენტის მიმაგრება ქვემოდან. მიამაგრეთ ფუგალენტი შესაბამისი სიგრძით, სუფთა ზედაპირზე და მჭიდროდ დაამაგრეთ საიზოლაციო ფილები. .

მითითებები

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge